

1.159.9

## ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევ კითხვარის ადაპტაცია

ბაშარული მაკა<sup>1</sup>, აფთარაშვილი ია<sup>2</sup>, წერეთელი მზია<sup>3</sup>

<sup>1,2,3</sup>ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. #1

### ანოტაცია

მოცემული კვლევის მიზანი იყო ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევ კითხვარის ადაპტაცია. ნაშრომში განხილულია კითხვარის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები, კერძოდ, ქვესკალების შინაგანი კონსისტენტურობა, ფაქტორული სტრუქტურა, სქესთაშორისი განსხვავება ძირითად ცხოვრებისეულ მიზნებში. ასევე, შეფასებულია ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები მნიშვნელოვნების მიხედვით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი საფეხურის 250 სტუდენტზე (123 კაცი; 127 ქალი) ჩატარებულმა კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევ კითხვარის ქართული ვერსია შეესაბამება ორიგინალ ვერსიას. შინაგანი კონსისტენტურობის კოეფიციენტი მიხედვით, კითხვარის სანდოობის მაჩვენებელი 0.86-ია, ხოლო ცალკეული სკალების სანდოობის კოეფიციენტი მერყეობდა 0.61-სა და 0.86-ს შორის. სკალებს შორის კორელაციის მიხედვით, ყველაზე ძლიერი დადებითი კორელაცია იყო ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზნებს შორის ( $r=0.59$ ). რაც შეეხება, ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების მნიშვნელოვნებას, კვლევის მონაწილეთათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური მიზნები. მდებარეობითი სქესის სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ეკონომიკური, სოციალური და თეორეტიკული მიზნები, ვიდრე მამრობითი სქესის სტუდენტებისთვის.

**საკვანძო სიტყვები:** ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები, ადაპტაცია, ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების მნიშვნელოვნება, სქესთაშორისი განსხვავება.

### შესავალი

ცხოვრებისეული მიზნების კონცეფცია, როგორც მოტივაციის ასპექტი 1970 წელს ჩამოყალიბდა. ცხოვრებისეული მიზნები - ეს არის ის სასურველი მდგომარეობა, რომლის მიღება-შენარჩუნებისკენაც მიისწრაფვიან ადამიანები (Emmons, Colby, & Kaiser, 1998). ეს არის ის ძირითადი მიზნები, რომლის მიღწევასაც ინდივიდები ცდილობენ საკუთარი კოგნიტური და ქცევითი სრატეგიებით. ჩვეულებრივ, მიიჩნევა, რომ ცხოვრებისეული მიზნები წარმოიქმნება თვითიდენტიფიკაციის ძირითადი ასპექტებიდან და განისაზღვრება მაღალი დონის აბსტრაქტული მოტივაციით (Nair, 2003).

ცხოვრებისეული მიზნები მოდიფიცირებულია პერსონალური და კონტექსტუალური ფაქტორებით.

ცხოვრებისეული მიზნები მოიცავს ღირებულებებსა და ცხოვრების სტილის არჩევას, რომელიც უკავშირდება კარიერას, ქორწინებას, ოჯახს და საზოგადოებაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას (Barth, Todd, Goldston, & Guadagno, 2003).

თითოეულ ადამიანს აქვს რამოდენიმე ცხოვრებისეული მიზანი, იმ მიმართულებით, რომელიც მისთვის მნიშვნელოვანია. დასახული მიზნის მიღწევა საკმაოდ რთულია, ამიტომ მნიშვნელოვანია დავისახოთ ის ცხოვრებისეული მიზნები, რომლებიც შეესაბამება ჩვენს პირად მოთხოვნილებებსა და მსოფლმხედველობას.

ყველა ადამიანი ინდივიდუალურია და ცხოვრებისეული მიზნების არჩევა, სწორედ მათი ინდივიდუალობის გამოვლენაა. ინდივიდის ცხოვრებისეული მიზნები შეესაბამება მის ღირებულებებს, მისწრაფებებსა და შესაძლებლობებს.

ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების მიღწევისას ადამიანი განიცდის კმაყოფილებას, ბედნიერებას, სიამაყეს, სიმშვიდეს და სხვა დადებით ემოციებს.

### ცხოვრებისეული მიზნების განსაზღვრება

ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები მოიცავს ადამიანის მისწრაფებას, ფორმირება მოახდინოს მისი ცხოვრებისეული კონტექსტის და შექმნას საერთო ცხოვრებისეული კონსტრუქტები, როგორცაა: კარიერა, ოჯახი, გარკვეული ცხოვრების სტილი და ა.შ. ცხოვრებისეული მიზნები გრძელვადიანია და გავლენას ახდენენ ინდივიდის ცხოვრებაზე მრავალი წლის განმავლობაში. ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები დაკავშირებულია კონკრეტული სოციალური პირობების შექმნასთან, როგორცაა: დიდი ოჯახის შექმნა, ქორწინება ან ცხოვრების მაღალი სტანდარტების მიღწევა. ცხოვრებისეული მიზნები მოდიფიცირებულია სხვადასხვა ფაქტორის მიერ, როგორცაა ასაკი, სქესი, პიროვნულობა, ემოციური რეაქცია, გარემო და ჯანმრთელობა. ადამიანის ცხოვრებისეული მიზნები იცვლება ადრეული მოზარდობიდან, გვიან მოზრდილობამდე (Nurmi, Poole, & Kalakoski, 1992). ეს კონტექსტები ასახავს როლების იმ ტიპებსა და მახასიათებლებს, რომლებსაც ასრულებენ ადამიანები. ეს როლები ხშირად ინტერპერსონალური ხასიათისაა და შეიძლება ასახავდეს ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებთან დაკავშირებულ მიღწევებს. (Erikson, 1959)

ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები მარკუსისა და ნურიუს (Markus & Nurius, 1986) შესაძლო „მე“-ს კონცეფციის მსგავსია, რადგან ორივე მომავალზეა ორიენტირებული და მოტივაციურ ფუნქციას ასრულებენ. თუმცა, ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები და შესაძლო „მე“ ერთმანეთისაგან განსხვავდება რამოდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, ცხოვრებისეული მიზნები აუცილებლად წარმოადგენს სასურველ შედეგს ინდივიდებისთვის, მაშინ, როცა შესაძლო „მე“ მოიცავს, როგორც სასურველ ისე არასასურველ შედეგებს. ჩვენ არ ვისახავთ იმ მიზნებს, რომლის მიღწევაც არ გვსურს, თუმცა ჩვენ შესაძლო „მე“-ს შეუძლია დაფაროს შეფასებითი სპექტრი დადებითიდან უარყოფითამდე. ცხოვრებისეულ მიზნებს ასევე აქვს ტენდენცია, იყოს ნაკლებად შეფასებითი მთლიანობაში, ვიდრე შესაძლო „მე“ (Markus & Cross, 1990). ცხოვრებისეული მიზნები წარმოადგენს მნიშვნელოვან და საუკეთესო მოტივაციურ კონსტრუქტს.

ცხოვრებისეული მიზნები შედგება იერარქიული კომპლექსისგან. ამ იერარქიის თავში არის უმთავრესი ღირებულება ან **იდეალური „მე“**. სურვილს მიაღწიო ამ იდეალურ „მე“-ს მივყავართ **აბსტრაქტულ მოტივაციამდე**, როგორცაა ძალაუფლების მოთხოვნილება, ცნობადობის მოთხოვნილება, პატივისცემის მოთხოვნილება, დამოუკიდებლობისა და სიამაყის მოთხოვნილება (Austin & Vancouver, 1996). **პერსონალური მიზნები** ანუ საშუალო დონის მიზნები არის ის ამოცანები ან მისწრაფებები, რომელიც განსსაზღვრულია ამ აბსტრაქტული მოტივებით. ისინი ადვილად ამოიცნობა, გამოიხატება ინდივიდების მიერ და ექვემდებარება გაზომვას. ის მოიცავს ისეთ მიზნებს, როგორცაა კარიერა, ურთიერთობები და ფინანსური უსაფრთხოება. **კონტექსტუალური მიზნები**, ეს არის ადამიანის გააზრებული მისწრაფებები და ქმედებები, მიმართული იმაზე, რომ ორიენტირება მოახდინონ არსებული გარემოსი და ცხოვრებისეული სიტუაციების პერსონალურ მიზნებთან მიმართებაში. მაგალითები მოიცავს სკოლაში კარგი ქულებისკენ მისწრაფებას, მცდელობას მიაღწიო კარგ შედეგებს სპორტში და მცდელობას გააუმჯობესო ურთიერთობები. ცხოვრებისეული მიზნების იერარქიის ყველაზე დაბალი დონე არის **დაუყოვნებელი ქმედებები**, რომელსაც მივყავართ კონტექსტუალურ მიზნებამდე. ეს მოიცავს კონკრეტულ ქმედებებს, როგორცაა კითხვა, წერა, მანქანის მართვა და სხვა (Roberts & Robins, 2000). ცხოვრებისეული მიზნების დასახვა ნებისმიერ დონეზე განსაზღვრება იერარქიის შემდეგი დონის მიზნებით. უფრო დაბალი დონის მიზნების შესრულებას მივყავართ უფრო მაღალი დონის მოტივაციის რეალიზებისკენ და ეხმარება ინდივიდებს, რომ მიუახლოვდეს იდეალურ „მე“-ს (Nurmi, 1992).

ცხოვრების აზრისა და მიზნების კვლევა ადამიანის არსებობის ძირითადი ნაწილია (Corey, 2005). დღეს, ადამიანები ხშირად საუბრობენ თავიანთ ცხოვრების მიზნებსა და სამომავლო მიზნებზე, როდესაც ისინი აღწერენ საკუთარ მოსაზრებებს ბედნიერი ცხოვრების შესახებ. ეს შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ ღირებულებები და მიზნები განსაზღვრავს ადამიანის ემოციებს, მოსაზრებებსა და ქცევას (Brdar, et al., 2009).

ცხოვრებისეული მიზნები - ეს არის ის, რისი მიღწევის, შენარჩუნების ან თავიდან არიდების სურვილიც აქვთ ადამიანებს (Sivaraman, 2003). ცხოვრებისეული მიზნები ასრულებს მნიშვნელოვან როლს ადამიანის ცხოვრებაში, ის ეხმარება მას იყოს მოტივირებული, რომ მიაღწიოს წარმატებას აკადემიურ, სოციალურ და პროფესიულ ცხოვრებაში, ასევე უზრუნველყოფს მის ფსიქიკურ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას (Carver & Scheier, 1998; Macleod, 2013; Cenkseven & Akbaş, 2007). ამ თვალსაზრისით, ცხოვრებისეული მიზნები წარმოადგენს ერთ-ერთს იმ მთავარ ფაქტორთაგან, რომელიც მნიშვნელობას სძენს ცალკეული ინდივიდების ცხოვრებას (Emmons, 2003). შმაკმა და შელდონმა (Schmuck & Sheldon, 2001) შეაფასეს ცხოვრებისეული მიზნები, როგორც მოტივაციური ინსტრუმენტი, რომელიც დროთა განმავლობაში მართავს ინდივიდების ცხოვრებას.

ცხოვრებისეული მიზნები მოიცავს ღირებულებებსა და ცხოვრების სტილის არჩევას, რომელიც უკავშირდება კარიერას, ქორწინებას, ოჯახს და საზოგადოებაზე დადებითი ზეგავლენის მოხდენას (Barth, Todd, Goldston, & Guadagno, 2003). სოციოანალიტიკურ თეორიაზე დაყრდნობით (Hogan, 1982), რობერტსმა და რობინსმა (Roberts & Robins, 2000) ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები ჩამოაყალიბეს, როგორც ცენტრალური კავშირი დისპოზიციასა და ბევრ სოციალურ კონტექსტს შორის,

რომელსაც ადამიანები ირჩევენ თავიანთ ცხოვრებაში. სოციოანალიტიკური მოდელის მიხედვით, ქცევების უმეტესობა მოტივირებულია 3 ძირითადი მოთხოვნილებით: **სოციალური მიღება** (კომუნიკაცია), **სტატუსი** (წინსვლა) და **პირადი მნიშვნელობა**. ამ სამი ძირითადი საჭიროების გათვალისწინებით, ადამიანებმა თავიანთი საქციელისა და ცხოვრებისეული არჩევანის თანმიმდევრულობა განაპირობეს, რომლებიც ასახულია სამ ძირითად ნაწილში: რას ფიქრობენ ადამიანები საკუთარ თავზე (იდენტობა), რას ფიქრობენ სხვები მათზე (რეპუტაცია) და როლები, რომლებსაც ისინი ასრულებენ ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. სხვა ადამიანებთან ურთიერთობების თანმიმდევრული ნიმუშების ჩამოყალიბებით და სოციალური როლებით, რომელშიც ისინი მონაწილეობენ, ადამიანები ივითარებენ იდენტურობას, რომელიც ასახავს თუ როგორ მართავენ ისინი სოციალურ მიმდებლობას, მოლაპარაკებების სტატუსს და მათი ცხოვრების მნიშვნელობა. ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები აკავშირებს ადამიანების იდენტურობასა და მათ როლებს. სოციოანალიტიკური თეორიის მიხედვით, ადამიანები შეეცდებიან აირჩიონ როლები, რომლებიც აძლიერებენ მათ იდენტობას. მიზნების უმრავლესობა ეხება არჩევანს, რომელსაც ჩვენ ვაკეთებთ იმასთან მიმართებაში, თუ როგორი როლები შევიძინოთ (მაგალითად, უნდა გავხდეთ თუ არა მშობელი) ან როგორ შევასრულებთ ამ როლებს (მაგალითად, უნდა შევასრულო სამუშაო, რომელსაც მოგება მოაქვს თუ შევასრულო ის სამუშაო, რომელიც პიროვნული ზრდის შესაძლებლობას მაძლევს). აქედან გამომდინარე, ადამიანი, რომელიც თავს ინტელექტუალად თვლის, შეასრულებს იმ სამუშაოს, რომელიც მისი ინტელექტის გამოწვევას ცდილობს, ირჩევს პარტნიორს, რომელთანაც ექნება ინტელექტუალური დისკუსია და მონაწილეობას იღებს ინტელექტუალურ აქტივობებში (მაგალითად, საჯარო ლექციებში მონაწილეობა). ისეთი როლების არჩევით, რომელიც აძლიერებს მის იდენტურობას, ის ამყარებს ინტელექტუალად ყოფნის რეპუტაციას და ფაქტობრივად მისი ქცევა ხდება უფრო ინტელექტუალური. ამგვარად, ურთიერთდამოკიდებული კავშირია ძირითად ცხოვრებისეულ მიზნებსა და ფართო დისპოზიციებს შორის - ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები ადამიანებს აძლევს საშუალებას აირჩიონ და ფორმირება მოახდინონ მათი სოციალური გარემოსი იმგვარად, რომ გაამყარონ არსებული დისპოზიციები.

რობერტსმა და რობინსმა (Roberts & Robins, 2000) ცხოვრებისეული მიზნების ინსტრუმენტის შესაქმნელად გამოყვეს რიჩარდსის (Richards, 1966) მიერ განსაზღვრული ძირითადი ცხოვრებისეული მიზნები (ისევე, როგორც თანამედროვე საკითხებთან დაკავშირებული დამატებითი მიზნები). შემდეგ, მათ გამოიყენეს შინაგანი შეთანხმებულობის კომბინაცია და ფაქტორული ანალიზი, რომ გაეგოთ, შეიძლებოდა თუ არა ამ ცხოვრებისეული მიზნების გამოყენება სკალის შესაქმნელად.

ავტორებმა (Roberts & Robins, 2000) გამოყვეს 10 ფაქტორი: ეკონომიკური, თეორეტიკული, ესთეტიკური, სოციალური, პოლიტიკური, რელიგიური, ფიზიკური კეთილდღეობა, ურთიერთობა, ჰედონისტური და პიროვნული ზრდა. ცხოვრებისეული მიზნების კლასიფიცირებისთვის ღირებულების კატეგორიაში, სამმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა შეაფასა თითოეული მიზანი პრიორიტეტების მიხედვით 10 ბალიან სკალაზე, სადაც 1 ნიშნავდა - საერთოდ არ არის პრიორიტეტული და 10 - ძალიან პრიორიტეტულია. ექსპერტებს შორის შეთანხმება იყო მაღალი ათივე კატეგორიისთვის (შეთანხმება მერყეობდა 0.73-დან 0.98-მდე). მიზნების თეორეტიკული კლასიფიცირების

ემპირიული ვალიდობისათვის მკვლევრებმა შეაფასეს მიზნების კლასტერების შიდა სანდობა. 10 მიზნის კლასტერიდან მისაღები აღფა მაჩვენებელი მერყეობდა 0.65-დან 0.83-მდე: ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური, ესთეტიკური, პოლიტიკური, ურთიერთობის და ჰედონისტური. ყველაზე ფართო კლასტერი მოიცავდა ეკონომიკურ მიზნებს, რომელიც მოიცავდა მიზნებს ორიენტირებულს კარიერასა და მიღწევებზე. ყველაზე პატარა კლასტერი იყო რელიგიური და პოლიტიკური კლასტერი, რომელიც მოიცავდა ორ-ორ დებულებას. მიზნების კლასტერი, რომელიც აისახებოდა თეორეტიკული მიზნების სფეროში, ფიზიკურ კეთილდღეობაში და პიროვნულ ზრდაში არ იყო ჩათვლილი, რადგან მათი აღფა მაჩვენებელი იყო 0.45-ზე ნაკლები. მიზნების სტრუქტურის განსაზღვრის შემდეგ, შიდა სანდობის განზომილების შესაფასებლად, გამოყენებული იყო კრონბახის აღფა. პირველი ფაქტორის სანდობის მაჩვენებელი იყო 0.81. მეორე ფაქტორის - 0.77, მესამე ფაქტორის - 0.82, მეოთხე ფაქტორის - 0.65, მეხუთე ფაქტორის - 0.83, მეექვსე ფაქტორის - 0.65 და მეშვიდე ფაქტორის - 0.77. რაც შეეხება სკალებს შორის კორელაციას, ეკონომიკური, პოლიტიკური, ურთიერთობის და ჰედონისტური ფაქტორები იყო დადებით კორელაციაში ერთმანეთთან (კორელაციის კოეფიციენტი მერყეობდა 0.20-დან 0.35-მდე). რელიგიური და სოციალური ფაქტორებიც დადებით კორელაციაში იყო ერთმანეთთან ( $r=0.32$ ) (Roberts & Robins, 2000).

სტუდენტების გამოკითხვის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ურთიერთობის და ჰედონისტური მიზნები; სოციალური და ეკონომიკური მიზნები და პოლიტიკური, რელიგიური და ესთეტიკური მიზნები. ნაკლებად მნიშვნელოვანი მიზნები იყო, ის მიზნები რომელსაც მიღწევის ყველაზე ნაკლები ალბათობა ჰქონდა (მაგ. „გავხდე კვალიფიციური საშემსრულებლო ხელოვნების ერთ-ერთ დარგში“; „ვიყო კვალიფიციური მუსიკოსი;“ „გავხდე გამოჩენილი სპორტსმენი“). ხოლო მიზანი „თავი ავრიდო რთულ სამუშაოს“ შეფასებული იყო, როგორც ყველაზე უმნიშვნელო (Roberts & Robins, 2000).

მიზნებში განსხვავება გამოვლინდა გენდერული ნიშნითაც. კერძოდ, მამრობითი სქესის სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მიზნები, ხოლო მდედრობითი სქესის სტუდენტებისთვის კი სოციალური მიზნები აღმოჩნდა. მდედრობითი სქესის რესპონდენტებმა, ასევე, უფრო მნიშვნელოვნად შეაფასეს პიროვნული ზრდის მიზნები, ვიდრე მამრობითი სქესის რესპონდენტებმა. ამ განსხვავების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს რომ ქალები და კაცები არ განსხვავდებიან სხვა დანარჩენ ცხოვრებისეულ მიზნებში. შედეგები ეთანხმება ფროიდის (Freud, 1953) აზრს, რომლის მიხედვითაც ცხოვრების დომინანტ თემებს წარმოადგენს სიყვარული და სამუშაო (Roberts & Robins, 2000).

კითხვარის ადაპტაცია გულისხმობს მისი სანდობისა და ვალიდობის შეფასებას, ასევე ფსიქომეტრული მახასიათებლების დადგენას. საკვლევი ინსტრუმენტის ქართულენოვანი ვერსიის შექმნისათვის კითხვარმა უნდა გაიაროს ადაპტაციის სამი ძირითადი საფეხური: „(1) თარგმანი და ლინგვისტური ვალიდაცია, (2) სკალის ფაქტორული სტრუქტურის შემოწმება, (3) ნორმატიული მაჩვენებლების დადგენა“ (ჯავახიშვილი, ნინო და სხვ., 2016).

## მიმდინარე კვლევა

მოცემული კვლევის მიზანია რობერტისა და რობინის (Roberts & Robins, 2000) 38 დებულებიანი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევის ინსტრუმენტის ადაპტირება ქართულ პოპულაციაზე.

## კვლევის მეთოდი

### კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო თბილისის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი საფეხურის 250 სტუდენტმა ( $M_{საკვი}=20.68$ ;  $SD=1.56$ ;  $min=18$ ;  $max=24$ ). მათგან 123 (49.2%) იყო მამრობითი სქესის და 127 (50.8%) მდედრობითი სქესის. მონაწილეთაგან 40.4% ( $N=101$ ) იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, 24.4% ( $N=61$ ) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი, 20.8% ( $N=52$ ) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი, 11,6% ( $N=29$ ) საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სტუდენტი და 2.8% ( $N=7$ ) თბილისის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები.

### კვლევის ინსტრუმენტი

კვლევის მონაწილეები აფასებდნენ 38 ძირითადი ცხოვრებისეული მიზნის მნიშვნელოვნებას ლაიკერტის ტიპის 5 ბალიან სკალაზე (სადაც, 1 = სრულიად უმნიშვნელოა, ხოლო 5 = ძალიან მნიშვნელოვანია). ინსტრუმენტი მოიცავდა ინსტრუქციას, ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების 38 დებულებას და დემოგრაფიულ ბლოკს. კვლევის ინსტრუმენტი შედგებოდა შემდეგი ფაქტორებისგან: ეკონომიკური მიზნები, ესთეტიკური მიზნები, სოციალური მიზნები, ურთიერთობის მიზნები, პოლიტიკური მიზნები, ჰედონისტური მიზნები, რელიგიური მიზნები, პიროვნული ზრდის მიზნები, ფიზიკური კეთილდღეობის მიზნები, თეორეტიკული მიზნები და არაკლასიფიცირებული მიზნები. ცხოვრებისეული მიზნების საკვლევი ინსტრუმენტის ქართულმა ვერსიამ ადაპტაციისთვის საჭირო ყველა პროცედურა გაიარა. პირველ ეტაპზე, ითარგმნა ინსტრუმენტი და ჩატარდა მისი ლინგვისტური ვალიდაცია, ხოლო შემდეგ ჩატარდა საპილოტე კვლევა 30 რესპონდენტზე და შემოწმდა ინსტრუმენტის ემპირიული ვალიდობა. შედეგად, კითხვარის ქართული ვერსია, ორიგინალის მსგავსად მოიცავს 38 დებულებას.

### შედეგები

ინსტრუმენტის შიდა სანდოობის დასადგენად შემოწმდა თითოეული დებულების შიდა კონსისტენტურობა. ამისათვის, დაითვალა „კრონბახის ალფა კოეფიციენტი“ (Cronbach's Alpha). პირველი ფაქტორის სანდოობის მაჩვენებელი იყო 0.78, მეორე ფაქტორის - 0.86, მესამე ფაქტორის - 0.74, მეოთხე ფაქტორის - 0.78, მეხუთე ფაქტორის - 0.83, მეექვსე ფაქტორის - 0.71, მეშვიდე ფაქტორის - 0.86, მერვე ფაქტორის - 0.48, მეცხრე ფაქტორის - 0.17, მეათე ფაქტორის - 0.67, მეთერთმეტე ფაქტორის - 0.34.

გამომდინარე იქიდან, რომ „კრონბახის ალფა კოეფიციენტი“ (Cronbach's Alpha) „ფიზიკური კეთილდღეობის“ და „არაკლასიფიცირებული მიზნების“ ფაქტორების შემთხვევაში იყო 0.45-ზე ნაკლები, მოხდა ამ ფაქტორების ამოშლა. გარდა ამისა, მოხდა

8.2 დებულებების ამოშლა, რადგან მისი ამოშლის შემთხვევაში იზრდებოდა სკალის შიდა კონსისტენტურობის მაჩვენებელი.

ცხრილი 1 აღწერილი სტატისტიკა, ფაქტორების შიდა სანდობა და კორელაცია.

	M	SD	1	2	3	4	5	6	7	8	10
1 ეკონომიკა	28.02	4.57	0.78	.81	.24**	.34**	.59**	.43**	.09	.29**	.44**
2 ესთეტიკა	13.99	4.84		0.86	.22**	-.01	.17**	.01	.28**	.08	.07
3 სოციალური	12.18	2.23			0.74	.31**	.24**	.22**	.22**	.40**	.34**
4 ურთიერთობა	13.15	2.41				0.78	.12	.21**	.30**	.37**	.26**
5 პოლიტიკა	6.90	2.01					0.83	.34**	.11	.27**	.40**
6 ჰედონიზმი	12.76	2.01						0.71	-.03	.30**	.26**
7 რელიგია	6.13	2.26							0.86	.14*	.14*
8 პიროვნული ზრდა	9.10	1.24								0.61	.46**
10 თეორეტიკული	8.37	1.63									0.67

შენიშვნა: \* = მნიშვნელობის დონე .05; \*\* = მნიშვნელობის დონე .01

განმეორებითი შიდა სანდობის ანალიზის შემდეგ (იხ. ცხრილი 1), პირველი ფაქტორის სანდობის მაჩვენებელი იყო 0.78, მეორე ფაქტორის - 0.86, მესამე ფაქტორის - 0.74, მეოთხე ფაქტორის - 0.78, მეხუთე ფაქტორის - 0.83, მეექვსე ფაქტორის - 0.71, მეშვიდე ფაქტორის - 0.86, მერვე ფაქტორის - 0.61, მეათე ფაქტორის - 0.67. ხოლო, ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევი სკალის სანდობის მაჩვენებელი იყო 0.86.

რაც შეეხება სკალებს შორის კორელაციას, ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და თეორეტიკულ ფაქტორებს შორის იყო დადებითი კორელაცია (კორელაციის კოეფიციენტი მერყეობდა 0.08 და 0.59-ს შორის). ძლიერი დადებითი კავშირი იყო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფაქტორებს შორის ( $r=0.59$ ;  $p<0.05$ ). ურყოფითი კორელაცია იყო ურთიერთობისა და ესთეტიკურ ფაქტორებს შორის ( $r=-0.01$ ) და რელიგიურ და ჰედონისტურ ფაქტორებს შორის ( $r=-0.03$ ).

ინსტრუმენტის მდგრადობა შემოწმდა „შერჩევის შუაზე გაყოფის მეთოდით“ (Split-half reliability). თითოეულ სკალაში შემავალი დებულებები შემთხვევითი წესით გაიყო ორ თანაბარ ნაწილად და დაითვალა ამ ნაწილებს შორის კორელაციის კოეფიციენტი (სპირმენის კორელაციის კოეფიციენტი). პირველი ფაქტორის კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.73; მეორე ფაქტორის კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.81; მესამე ფაქტორის კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.71; მეოთხე ფაქტორის - 0.73; მეხუთე ფაქტორის - 0.70; მეექვსე ფაქტორის - 0.70; მეშვიდე ფაქტორის - 0.72; მერვე ფაქტორის - 0.71 და მეათე ფაქტორის - 0.70. ხოლო, მთლიანი კითხვარის მდგრადობის შემოწმებისას, ინსტრუმენტი გაიყო 14-15 დებულებად და მათ შორის კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.84.

ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევი სკალის კონსტრუქციული ვალიდობის შესამოწმებლად, გაკეთდა ექსპლორატორული ფაქტორული ანალიზი. 1-ლი ფაქტორი შედგებოდა 7 დებულებისგან, რომელიც ფასდებოდა ლაიკერტის ტიპის 5 ბალიან სკალაზე, ეს დებულებები ხსნიდა ამ ფაქტორს 44.10%-ით, დებულებების


ფაქტორთან კორელაციის კოეფიციენტი მერყეობდა 0.48-სა და 0.74-ს შორის; მე-2 ფაქტორი მოიცავდა 5 დებულებას და ისინი ამ ფაქტორს ხსნიდა 63.67%-ით, დებულებებსა და ფაქტორს შორის კორელაციის კოეფიციენტი მერყეობდა 0.68-სა და 0.87-ს შორის; მე-3 ფაქტორი შედგებოდა 3 დებულებისგან და ეს დებულებები ამ ფაქტორს ხსნიდა 66.55%-ით, დებულებების ფაქტორთან კორელაციის კოეფიციენტი მერყეობდა 0.80-სა და 0.85-ს შორის; მე-4 ფაქტორი მოიცავდა 3 დებულებას და ისინი ამ ფაქტორს ხსნიდა 69.79%-ით, დებულებებსა და ფაქტორს შორის კორელაციის კოეფიციენტი მერყეობდა 0.77-სა და 0.89-ს შორის; მე-5 ფაქტორი შედგებოდა 2 დებულებისგან. ეს დებულებები ხსნიდა ამ ფაქტორს 85.54%-ით, დებულებების ფაქტორთან კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.93; მე-6 ფაქტორი მოიცავდა 2 დებულებას. ისინი ხსნიდა ამ ფაქტორს 63.40%-ით, დებულებებსა და ფაქტორს შორის კორელაციის კოეფიციენტი მერყეობდა 0.77-სა და 0.83-ს შორის. მე-7 ფაქტორი შედგებოდა 2 დებულებისგან. ეს დებულებები ხსნიდა 86.64%-ით, დებულებების ფაქტორთან კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.93; მე-8 ფაქტორი მოიცავდა 2 დებულებას და ეს დებულებები ხსნიდა ამ ფაქტორს 69.78%-ით, დებულებებსა და ფაქტორს შორის კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.84; მე-10 ფაქტორი შედგებოდა 2 დებულებისაგან და ეს დებულებები ხსნიდა ამ ფაქტორს 74.90%-ით, დებულებების ფაქტორთან კორელაციის კოეფიციენტი იყო 0.87.

#### **საშუალო ქულა და სქესი: განსხვავება ძირითად ცხოვრებისეულ მიზნებში**

თითოეული ფაქტორის მონაცემების საშუალოების დათვლის შედეგად (იხ. დიაგრამა 1), აღმოჩნდა, რომ კვლევის მონაწილეებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკური მიზნები ( $M=28.02$ ), მას მოყვება ესთეტიკური ( $M=13.99$ ) და ურთიერთობის მიზნები ( $M=13.15$ ), შემდეგ, ჰედონისტური ( $M=12.76$ ) და სოციალური მიზნები ( $M=12.18$ ), პიროვნული ზრდის მიზნები ( $M=9.1$ ), თეორეტიკული მიზნები ( $M=8.37$ ), პოლიტიკური მიზნები ( $M=6.90$ ) და რელიგიური მიზნები ( $M=6.13$ ).




დიაგრამა 1. ცხოვრებისეული მიზნების მნიშვნელოვნება



რაც შეეხება, ინდივიდუალურ მიზნებს კვლევის მონაწილეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „მქონდეს რეალური მიზანი ცხოვრებაში“ ( $M=4.67$ ), „მქონდეს კარიერა“ ( $M=4.64$ ) და „მქონდეს ჰარმონიული ურთიერთობა მშობლებთან და დედამიწილებთან“ ( $M=4.59$ ). უმნიშვნელოდ იყო შეფასებული „ვიყო კვალიფიციური მუსიკოსი“ ( $M= 2.21$ ).

აღწერითი სტატისტიკის გარდა, შემოწმდა რამდენად მნიშვნელოვანია სტატისტიკური განსხვავება სქესთაშორის ძირითად ცხოვრებისეულ მიზნებში. ამისათვის გამოყენებული იყო ANOVA table მეთოდი. ANOVA table ანალიზმა აჩვენა, რომ სქესის მიხედვით სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება იყო ეკონომიკურ მიზნებში, სოციალურ მიზნებში, ჰედონისტურ მიზნებში, პროფესიული ზრდის მიზნებში და თეორეტიკულ მიზნებში. სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლინდა ესთეტიკურ მიზნებში, ურთიერთობის მიზნებში, პოლიტიკურ მიზნებში, ფიზიკური კეთილდღეობის მიზნებში და რელიგიურ მიზნებში. მდებდრობითი სქესის სტუდენტებსთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური მიზნები ( $M_{მდედრობითი}=27.37$ ,  $SD_{მდედრობითი}=3.81$ ;  $M_{მამრობითი}=27.37$ ,  $SD_{მამრობითი}=5.18$ ), სოციალური მიზნები ( $M_{მდედრობითი}=12.69$ ,  $SD_{მდედრობითი}=1.96$ ;  $M_{მამრობითი}=11.65$ ,  $SD_{მამრობითი}=2.37$ ), ჰედონისტური მიზნები ( $M_{მდედრობითი}=13.31$ ,  $SD_{მდედრობითი}=1.79$ ;  $M_{მამრობითი}=12.19$ ,  $SD_{მამრობითი}=2.07$ ), პროფესიული ზრდის მიზნები ( $M_{მდედრობითი}=9.46$ ,  $SD_{მდედრობითი}=0.92$ ;  $M_{მამრობითი}=8.72$ ,  $SD_{მამრობითი}=1.42$ ) და თეორეტიკული მიზნები ( $M_{მდედრობითი}=8.92$ ,  $SD_{მდედრობითი}=1.17$ ;  $M_{მამრობითი}=7.80$ ,  $SD_{მამრობითი}=1.83$ ) (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2. სქესთაშორის განსხვავება ძირითად ცხოვრებისეულ მიზნებში.



რაც შეეხება ინდივიდუალურ მიზნებს შორის განსხვავებას, მდედრობითი სქესის სტუდენტებისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანი იყო „მქონდეს კარიერა“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.85$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.43$ ), „ჩემით იამაყონ მშობლებმა“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.49$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.13$ ), „მქონდეს მაღალი სტატუსი კარიერაში“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.50$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.10$ ), „მქონდეს ცხოვრების და სიმდიდრის მაღალი სტანდარტები“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=3.97$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.72$ ), „მხარი დავუჭირო მხატვრულ ღონისძიებებს და სახვით ხელოვნებას“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=3.61$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.31$ ), „შევასრულო/ვაწარმოო კარგი მხატვრული სამუშაო“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=3.13$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=2.82$ ), „დავეხმარო სხვებს საჭიროების დროს (გასაჭირში)“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.50$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.28$ ), „ვიმუშაო, რომ ხელი შევუწყო სხვის კეთილდღეობას“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.20$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.83$ ), „ვიყო ჩართული მოხალისეების საზოგადოებაში და საზოგადოებრივ სერვისებში“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=3.98$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.54$ ), „გავერთო (გავატარო კარგი დრო)“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.34$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.10$ ), „მივიღო ახალი და განსხვავებული გამოცდილება“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.69$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.37$ ), „მქონდეს ცხოვრების ამაღელვებელი სტილი“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.29$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.73$ ), „მქონდეს რეალური მიზანი ცხოვრებაში“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.80$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.53$ ), „მქონდეს სამსახური, რომელსაც მოაქვს პიროვნული კმაყოფილება, მაგრამ არა სიმდიდრე“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.10$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.75$ ), „ვიყო ნაკითხი“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.66$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.20$ ), „ვიყო კარგ ფიზიკურ მდგომარეობაში“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.57$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.18$ ), „მოვამზადო საკუთარი თავი სასწავლებლის დასამთავრებლად“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.65$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.00$ ), „გავხდე ავტორიტეტი ჩემი სფეროს რომელიმე საგანში“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.28$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.80$ ), „ვიცხოვრო ესთეტიკურად სასიამოვნო გარემოში“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.60$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=4.19$ ), „ვიყო ქორწინებაში,სადაც ორივე პარტნიორს გვაქვს ჩვენი კარიერა“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.66$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.96$ ), „გამოვიმუშავებდე იმდენს, რომ ვიცხოვრო კომფორტულად და არა მეტს“ ( $M_{\text{მდედრობითი}}=4.19$ ;  $M_{\text{მამრობითი}}=3.94$ ).

მამრობითი სქესის სტუდენტებისთვის უფრო მნიშვნელოვანი მიზნები იყო „გავხდე გამოჩენილი სპორტსმენი“ ( $M_{\text{მამრობითი}}=2.54$ ;  $M_{\text{მდედრობითი}}=1.94$ ) და „ვიყო ტრადიციულ ქორწინებაში, სადაც, ჩვეულებრივ, ქმარი არის ოჯახში შემომტანი, ცოლი კი დიასახლისი“ ( $M_{\text{მამრობითი}}=2.55$ ;  $M_{\text{მდედრობითი}}=1.53$ ).

### შედეგების განხილვა და ინტერპრეტაცია

მიმდინარე კვლევის მიზანი იყო ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევი ინსტრუმენტის ადაპტაცია. მოხდა ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების შეფასება მნიშვნელოვნების მიხედვით და ძირითად ცხოვრებისეულ მიზნებში სქესთაშორისი განსხვავებების გამოვლენა. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების საკვლევი კითხვარის ქართულმა ვერსიამ წარმატებით გაიარა ადაპტაციისთვის საჭირო ეტაპები. კითხვარის ქართული ვერსია ხასიათდება კარგი შინაგანი კონსისტენტურობით, ხოლო მისი ფაქტორული სტრუქტურა იმეორებს ორიგინალი კითხვარის სტრუქტურას (Roberts & Robins, 2000).

ძირითადი ცხოვრებისეული მიზნების მნიშვნელოვნების შეფასებამ აჩვენა, რომ სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური, ურთიერთობის და ჰედონისტური მიზნები, ხოლო ყველაზე ნაკლებად მნიშვნელოვანი კი პოლიტიკური და რელიგიური მიზნები. ეს შედეგები ეხმიანება რობერტისა და რობინსის (Roberts & Robins, 2000) მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც იგივე შედეგს გვთავაზობს. ამ შემთხვევაშიც კვლევამ გამოავლინა, რომ სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური, ურთიერთობისა და ჰედონისტური მიზნები, ნაკლებად მნიშვნელოვანი კი, პოლიტიკური და რელიგიური მიზნები. რაც შეეხება ინდივიდუალურ მიზნებს, კვლევის მონაწილეებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა „მქონდეს რეალური მიზანი ცხოვრებაში“, „მქონდეს კარიერა“ და „მქონდეს ჰარმონიული ურთიერთობა მშობლებთან და დედამამიშვილებთან“. ეს შედეგები ნაწილობრივ ეხმიანება რობერტისა და რობინსის (Roberts & Robins, 2000) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამ შემთხვევაში, კვლევამ გამოავლინა, რომ სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი იყო შემდეგი მიზნები: „მქონდეს რეალური მიზანი ცხოვრებაში“, „მქონდეს კარიერა“ და „მქონდეს დამაკმაყოფილებელი ქორწინება/ურთიერთობა“.

ძირითად ცხოვრებისეულ მიზნებში სქესთაშორისი განსხვავებების შეფასების შედეგად, გამოვლინდა, მდედრობითი სქესის სტუდენტებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური, სოციალური, პიროვნული ზრდის და თეორეტიკული მიზნები, ვიდრე მამრობითი სქესისთვის. განსხვავება არ გამოვლინდა ესთეტიკურ, ურთიერთობის, პოლიტიკურ, ჰედონისტურ და რელიგიურ მიზნებში. სტატისტიკური დამუშავების შედეგად მიღებული ეს კონკრეტული შედეგები ნაწილობრივ ეხმიანება რობერტისა და რობინსის კვლევის (Roberts & Robins, 2000) შედეგებს. ამ შემთხვევაშიც, მდედრობითი სქესის სტუდენტებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო სოციალური და პიროვნული ზრდის მიზნები, ვიდრე მამრობითი სქესის სტუდენტებისთვის. მიმდინარე კვლევისაგან განსხვავებით, რობერტისა და რობინსის (Roberts & Robins, 2000) კვლევაში აღმოჩნდა, რომ ეკონომიკური მიზნები უფრო მნიშვნელოვანი იყო მამრობითი სქესის სტუდენტებისთვის, ვიდრე მდედრობითი სქესის სტუდენტებისთვის. ეს შედეგი შეიძლება აიხსნას იმით, რომ

კვლევის მონაწილეების პიროვნული აღქმები განსხვავებულია კულტურის მიხედვით. რაც შეეხება სქესთაშორის განსხვავებას ინდივიდუალურ მიზნებში მდედრობითი სქესის სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგი ოთხი ინდივიდუალური მიზანი იყო: „მქონდეს კარიერა“, „ჩემით იამაყონ მშობლებმა“, „ვიმუშაო, რომ ხელი შევუწყო სხვის კეთილდღეობას“ და „დავეხმარო სხვებს საჭიროების დროს“. მამრობითი სქესის სტუდენტებისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდივიდუალური მიზნები იყო „გავხდე გამოჩენილი სპორტსმენი“ და „ვიყო ტრადიციულ ქორწინებაში, სადაც, ჩვეულებრივ, ქმარი არის ოჯახში შემომტანი, ცოლი კი დიასახლისი“. ეს შედეგები ნაწილობრივ ეხმიანება რობერტისა და რობინსის კვლევის (Roberts & Robins, 2000) შედეგებს. ამ შემთხვევაში მდედრობითი რესპონდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინდივიდუალური მიზნები იყო „ქონდეს რეალური მიზანი ცხოვრებაში“, „მქონდეს სამსახური, რომელსაც მოაქვს პიროვნული კმაყოფილება, მაგრამ არა სიმდიდრე“, „ვიმუშაო, რომ ხელი შევუწყო სხვის კეთილდღეობას“ და „დავეხმარო სხვებს საჭიროების დროს“. მამრობითი სქესის რესპონდენტებისთვის კი ყველაზე მნიშვნელოვანი ინდივიდუალური მიზნები იყო „მქონდეს ცხოვრების და სიმდიდრის მაღალი სტანდარტები“, „მქონდეს საკუთარი ბიზნესი“, „თავი ავარიდო რთულ სამუშაოს“ და „ვიყო ტრადიციულ ქორწინებაში, სადაც, ჩვეულებრივ, ქმარი არის ოჯახში შემომტანი, ცოლი კი დიასახლისი“.

## ბიბლიოგრაფია

1. [1] Emmons, R., Colby, P., & Kaiser, H. (1998). *When losses lead to gains: Personal goals and the recovery of meaning*. APA.
2. [2] Nair, S. (2003). *Life goals: the concept and its relevance to rehabilitation*. SAGE Journals.
3. [3] Barth, J., Todd, B., Goldston, D., & Guadagno, R. (2003). *An integrated approach to choosing technical careers: Gender differences in life goals for college students*.
4. [4] Nurmi, J. E., Poole, M., & Kalakoski, V. (1992). *Age differences in adolescent future-oriented goals, concerns, and related temporal extension in different sociocultural contexts*. Springer.
5. [5] Erikson, E. (1959). *Identity and the life cycle: Selected papers*. APA.
6. [6] Markus, H., & Nurius, P. (1986, September). Possible selves. *American Psychologist*, 41(9), 954 - 969.
7. [7] Markus, H., & Cross, S. (1990). The interpersonal self. In L. Pervin, *Handbook of personality: Theory and research* (pp. 576-608). New York: The Guilford Press.
8. [8] Austin, J., & Vancouver, J. (1996). *Goal Constructs in Psychology: Structure, Process, and Content*. American Psychological Association.
9. [9] Roberts, B., & Robins, R. (2000). *Broad Dispositions, Broad Aspirations: The Intersection of Personality Traits and Major Life Goals*. *Personality and Social Psychology Bulletin*.
10. [10] Nurmi, J. E. (1992). *Age differences in adult life goals, concerns, and their temporal extension: a life course approach to future oriented motivation*. *International Journal of Behavioral Development*.
11. [11] Corey, G. (2005). *Theory and Practice of Counseling and Psychotherapy*. Belmont: Brooks/Cole.
12. [12] Brdar, et al. (2009). *Life Goals and Well-Being: Are Extrinsic Aspirations Always Detrimental to Well-Being?* American Psychological Association.
13. [13] Sivaraman, N. (2003). Life goals: The concept and its relevance to rehabilitation. *Clinical Rehabilitation*, 192-202.

14. [14] Carver, C., & Scheier, M. (1998). *On the self-regulation of behavior*. American Psychological Association.
15. [15] Macleod, A. (2013). Goals and Plans: Their Relationship to Well-Being. In A. Efklides, & D. Moraitou, *A Positive Psychology Perspective on Quality of Life* (pp. 33-50). Springer.
16. [16] Cenkseven & Akbaş. (2007). *Examining the predictors of subjective and psychological well-being of university students*.
17. [17] Emmons, R. (2003). *Personal goals, life meaning, and virtue: Wellsprings of a positive life*. American Psychological Association.
18. [18] Schmuck, P., & Sheldon, K. (2001). Life goals and well-being: To the frontiers of life goal research. In P. Schmuck, & K. Sheldon, *Life goals and well-being : towards a positive psychology of human striving* (pp. 1-17). Seattle: Hogrefe and Huber Publishers.
19. [19] Hogan, R. (1982). A socioanalytic theory of personality. *Nebraska Symposium on Motivation*, 55-89.
20. [20] Richards, J. (1966). Life Goals of American College Freshmen. *Journal of Counseling Psychology*, 12-20.
21. [21] Freud, S. (1953). 'On narcissism: an introduction'. *The standard edition of the complete psychological works*, 69-102.
22. [22] ჯავახიშვილი, ნინო და სხვ. (2016). *კვლევის ინსტრუმენტების ვალიდაცია*. თბილისი: GESJ: Education Science and Psychology 2017.

სტატიაში მოყვანილია: ცხრილი - 1; დიაგრამა - 2.

---

**Article received 2022-07-28**